საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 5 22 0000973872

31/08/2022

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების სოციალური პროგრამა, რომელსაც ყოველი სასწავლო წლისთვის, სამინისტროს წარდგინებით, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. 2022 წლის 9 აგვისტოს №419 დადგენილებით განისაზღვრა "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე".

აღნიშნული მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული გარკვეული კატეგორიის სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებას. სოციალური პროგრამის ფარგლებში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, განაცხადები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 12 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 18:00 საათამდე http://socreg.mes.gov.ge პორტალზე რეგისტრაციით. ელექტრონული რეგისტრაციის პორტალზე გადასვლა, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდიდან (ბანერი - სტუდენტთა დაფინანასება სოციალური პროგრამის ფარგლებში).

გიგზავნით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N419 დადგენილებას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N968163 ბრძანებას „საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №419 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისათვის განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის/განხილვის წესის, ვადებისა და საჭირო დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

გთხოვთ, უზრუნველყოთ სტუდენტების ინფორმირება ზემოაღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

დანართი: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N419 დადგენილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N968163 ბრძანება.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი განათლების
განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა
მოვალეობის შემსრულებელი
მარუაშვილი ზაზა